



## ინტერნაციონალიზაცია

თარიღი	მაისი 2019
თავი	0
გვერდი	1/14
ცვლილება	0

“დამტკიცებულია”

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის  
მმართველი საბჭოს დადგენილებით  
რექტორი, პროფესორი

  
ს. ტევზაძე  
დადგენილება № 08103  
2019

## საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

ძირითადი ასლი

	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	1
	სარჩევი	გვერდი	2/14
		ცვლილება	0

# 1 სარჩევი

1	სარჩევი .....	2
i.	ცვლილებები .....	3
ii.	ცვლილებების ისტორია .....	4
iii.	მოქმედი გვერდების სია .....	5
2	დოკუმენტაციის კონტროლი .....	6
3	შესავალი .....	7
4	ძირითადი ნაწილი .....	8
	მუხლი 1. ინტერნაციონალიზაციის მიზნები .....	8
	საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება .....	8
	საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია .....	9
	უცხოელი სტუდენტების ჩართულობა .....	11
	კვლევის ინტერნაციონალიზაცია .....	11
	მუხლი 2. უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმი .....	13
	მიზნობრივი ქვეყნები .....	13
	დეტალური ინფორმაციის სიზუსტე და ხელმისაწვდომობა .....	13
	უცხოელი სტუდენტისთვის სტუდენტის სტატუსის მინიჭება .....	13
	სსუ-ს პოპულარიზაცია და მოზიდვა ინტერნეტის, სოციალური ქსელებისა და ბეჭდური მასალების გამოყენებით .....	13
	მოზიდვა აგენტების მეშვეობით .....	14
	ახალი პოზიციების შექმნა ფაკულტეტებზე ინტერნაციონალიზაციის მიზნებისათვის .....	14
	გამოყენებული წყაროები: .....	14

	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	i
	ცვლილებები	გვერდი	3/14
		ცვლილება	0

**i. ცვლილებები**

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი



თარიღი	მაისი 2019
თავი	ii
გვერდი	4/14
ცვლილება	0

ii. ცვლილებების ისტორია

ii. ცვლილებების ისტორია


ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი



თარიღი	მაისი 2019
თავი	iii
გვერდი	5/14
ცვლილება	0

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი
0	1	0	მაისი 2019				
1	2	0	მაისი 2019				
i	3	0	მაისი 2019				
ii	4	0	მაისი 2019				
iii	5	0	მაისი 2019				
2	6	0	მაისი 2019				
3	7	0	მაისი 2019				
4	8	0	მაისი 2019				
4	9	0	მაისი 2019				
4	10	0	მაისი 2019				
4	11	0	მაისი 2019				
4	12	0	მაისი 2019				
4	13	0	მაისი 2019				
4	14	0	მაისი 2019				
4	15	0	მაისი 2019				

	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	2
	დოკუმენტაციის კონტროლი	გვერდი	6/14
		ცვლილება	0

## 2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

### დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია


	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	3
	შესავალი	გვერდი	7/14
		ცვლილება	0

### 3 შესავალი

1. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში უმაღლესი განათლების სფეროში კონკურენციამ მსოფლიო დონის ხასიათი მიიღო. ბოლონის პროცესი, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, ვიზა-ლიბერალიზაცია და საქართველოზე გავლენის მქონე სხვა დინამიურად განვითარებადი პროცესები მოითხოვს სწორ ანალიზსა და შესაბამისი სტრატეგიის განსაზღვრას. საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ჩართულობა ევროპის საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეებში სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობას ქმნის, რის საფუძველზეც მარტივი ხდება ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების დაწესება და ევროპულ პარტნიორ ინსტიტუციებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, რაც ხელს უწყობს მიწოდებული განათლების ხარისხის ზრდას და კურსდამთავრებულებს მისცემს ევროპაში სწავლის გაგრძელების ან დასაქმების შესაძლებლობას.

2. საერთაშორისო პროფილის განვითარება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისა და წარმატების მისაღწევად აუცილებელია მიმდინარე არსებული გამოწვევების საპასუხო ნაბიჯების გადადგმა, მკაფიოდ გამოსახული მიზნების დასახვა და მათი წარმატებული შესრულება. აუცილებლად მიგვაჩნია ერთობლივი პროგრამების განვითარება რათა უფრო მეტად მიმზიდველი გავხადოთ უნივერსიტეტი უცხოელი აბიტურიენტებისათვის, სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლით პროექტებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს საუკეთესო დასავლული პრაქტიკების საქართველოში გადმოტანასა და საავიაციო უნივერსიტეტში დაწესებას, უცხოელ პარტნიორებთან ერთად კვლევებში მონაწილეობა კი ხაზს გაუსვამს უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მონაწილეობას. გლობალურ პროცესებში ჩართვისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს სერტიფიცირების მოპოვება რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის მაქსიმალურად დაახლოებას თანამედროვე სტანდარტებთან და კურსდამთავრებულთათვის მსოფლიო საავიაციო ბაზარზე წარმატებით დასაქმების კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას.

3. წინამდებარე დოკუმენტი აღწერს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ზოგად მიმართულებებს, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების ინტერნაციონალიზაციის მიზნით, უნივერსიტეტის მიერ 2019 წლამდე განხორციელებული აქტივობებისა და შესაბამისი შედეგების ანალიზის საფუძველზე, წარსული გამოცდილების გათვალისწინებით. დოკუმენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის 2019-2026 წწ. სტრატეგიის ნაწილს.

	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	8/14
		ცვლილება	0

## 4 ძირითადი ნაწილი

### მუხლი 1. ინტერნაციონალიზაციის მიზნები

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით დასახულ აქვს შემდეგი ოთხი სტრატეგიული მიზანი:

#### საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება


1. საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებისა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც უნივერსიტეტი ახორციელებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიების/სტანდარტების ათვისებას და საქმის წარმოებაში დანერგვას. ამასთანავე, მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში სამოქალაქო ავიაციის სფეროს მუდმივად ცვალებადი და მზარდი მოთხოვნების გათვალისწინება და მათი საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაცია წარმოადგენს აუცილებელ პირობას, რათა უზრუნველყოფილ იყოს მათი და საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების თავსებადობა.

2. უნივერსიტეტს მიზნად აქვს დასახული საერთაშორისო დონის საავიაციო საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან თანამშრომლობა ერთობლივი პროექტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად. მიგვაჩნია რომ ამგვარი სახის თანამშრომლობა უზრუნველყოფს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში დაგროვილი გამოცდილების უნივერსიტეტში მოზიდვასა და საქმიანობაში დანერგვას, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას იქონიებს შეთავაზებული სერვისების ხარისხზე.

3. არანაკლებ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საერთაშორისო დაფინანსებების მოპოვება, რაც მოახდენს მნიშვნელოვანი კვლევითი საქმიანობების განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსური რესურსების აკუმულირებას. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით ცენტრში პარალელურად მუშავდება რამოდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელთა წარმატებით განხორციელებაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მსოფლიო ავიაციის განვითარების საქმეში რაც თავისთავად დადებით გავლენას იქონიებს.

სტრატეგიული მიზანი	სტრატეგიული ამოცანა	წარმატების ინდიკატორი
მიზანი 1: საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება	ამოცანა 1: განათლების ეროვნული პოლიტიკის გათვალისწინებით, როგორც ინსტიტუციონალური ასევე ერთობლივი პროგრამების განვითარება	ავიაციის სფეროს საერთაშორისო მონაწილეებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებები/მემორანდუმები  ერთობლივი პროგრამების/პროექტების რაოდენობა  საერთაშორისო მეთოდოლოგიის/საუკეთესო პრაქტიკის საუნივერსიტეტო საქმიანობაში დანერგვის მაგალითები (ქეისები)
	ამოცანა 2: საერთაშორისო რეპუტაციის/იმიჯის კაპიტალიზაცია	ხელშეკრულებების რაოდენობა  საერთაშორისო აკრედიტაცია (EASA)




	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
	ძირითადი ნაწილი	თავი	4
		გვერდი	9/14
		ცვლილება	0

		<b>მიწვეული უცხოელი აკადემიური პერსონალის რაოდენობა</b>
	<b>ამოცანა 3:</b> უნივერსიტეტის პროგრამებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა საერთაშორისო დონეზე	<p>ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობის ზრდა</p> <p>სტუდენტების რაოდენობის ზრდა ინგლისურენოვან პროგრამებზე/კურსებზე/მოდულებზე</p> <p>საერთაშორისო პროექტებში ჩართული მონაწილეების რაოდენობა</p> <p>ონლაინ სასწავლო კურსების მომხმარებელთა რაოდენობა</p> <p>ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის საშუალებით უცხოელი სტუდენტების მომართვიანობის გაზრდა</p>
	<b>ამოცანა 4:</b> საერთაშორისო წყაროებიდან დაფინანსების გაზრდა	<p>საერთაშორისო წყაროებიდან დაფინანსებული პროექტები</p> <p>წარდგენილი და დაფინანსებული პროექტების თანაფარდობა</p>

### საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია

1. საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება და ევროპის სივრცეში გაერთიანებისაკენ სვლა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის. ამ მიმართულებით მიღწეულმა უკანასკნელმა შედეგმა საქართველოს მოქალაქეებს ევროპაში უვიზოდ შესვლის შესაძლებლობა მისცა, რაც თავისთავად კიდევ უფრო მეთ შესაძლებლობებს სთავაზობს მოსახლეობას. საქართველოს მოქალაქეების უკეთესი მომავლის ხელშესაწყობის საქმეში უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციას. უნივერსიტეტს ჯამში შეთავაზებული აქვს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის 18 - მათ შორის 2 ინგლისურენოვანი საბაკალავრო და 4 ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ინგლისურენოვანი პროგრამების შექმნისას მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული ევროპული ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მოთხოვნები და რეკომენდაციები რაც თავისთავად ხელს შეუწყობს აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულებს, მაქსიმალურად მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარ ჩვევების რეალიზაცია მსოფლიო საავიაციო დასაქმების ბაზარზე.


2. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გამდიდრება/გაუმჯობესება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული საუკეთესო პრაქტიკების დანერგვით უნივერსიტეტი გააკეთებს მნიშვნელოვან განაცხადს რეგიონში და შემდეგ უკვე

	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	10/14
		ცვლილება	0

საერთაშორისო მასშტაბით. აუცილებლად მიგვაჩნია უფრო მეტი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზება რათა უზრუნველყოთ გაცვლით პროგრამებში ჩართული სტუდენტებისა და პერსონალის რაოდენობის ზრდა.

3. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად უნივერსიტეტის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე EASA-ს სერტიფიცირების მიღება, რაც ერთის მხრივ ხელს შეუწყობს სტუდენტთა საერთო მაჩვენებლის ზრდასა და უნივერსიტეტით დასავლეთში მცხოვრები აბიტურიენტების დაინტერესებას, ხოლო მეორეს მხრივ კი საქართველოში შესაძლებელი იქნება ევროპის წამყვანი საავიაციო სასწავლებლების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ხარისხიანი განათლების მიღება.

სტრატეგიული მიზანი	სტრატეგიული ამოცანა	წარმატების ინდიკატორი
<b>მიზანი 2:</b> საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია	<b>ამოცანა 1:</b> საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება (უმაღლესი, პროფესიული)	ერთობლივი პროგრამების რაოდენობა  ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მიერ დადებითად შეფასებული პროგრამების რაოდენობა  გაცვლით პროგრამებში მონაწილე და პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა  გაცვლით პროგრამებში სტუდენტების რაოდენობის გაზრდა
	<b>ამოცანა 2:</b> უცხოელი ლექტორების/პროფესიული მასწავლებლების ჩართულობა საგანმანათლებლო საქმიანობაში და პროგრამების განვითარებაში	უცხოელი ლექტორების პროცენტული წილი ლექტორების მთლიან რაოდენობასთან  უცხოელი ლექტორების მიერ ჩატარებული ღია ლექციები/სემინარები და სხვა ღონისძიებები  ერაზმუს + ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩამოსული უცხოელი ლექტორების რაოდენობა (ზრდა)
	<b>ამოცანა 3:</b> საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება საერთაშორისო აკრედიტაციის მისაღებად	EASA-ს აკრედიტაცია

	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	4
	მირითადი ნაწილი	გვერდი	11/14
		ცვლილება	0


### უცხოელი სტუდენტების ჩართულობა

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში სტუდენტთათვის კიდევ უფრო მეტად თანაბარი გარემოს შესაქმნელად, აუცილებელია უცხოელ სტუდენტების წახალისება რათა მოხდეს მათი სტუდენტურ თვითმმართველობაში ჩართვა და შესაბამისად უცხოელი სტუდენტების როლის გაზრდა სტუდენტურ ღონისძიებებში.
- ასევე აუცილებლად მიგვაჩნია ფაკულტეტებზე „სტუდენტების მრჩეველი“-ს პოზიციის შემოღება, რომელზეც შერჩევის წესით დაინიშნებიან იმავე ფაკულტეტზე მოსწავლე ის უცხოელი სტუდენტები, რომლებსაც გაჩნია მაღალი აკადემიური მოსწრება და სარგებლობენ დადებითი რეპუტაციით უნივერსიტეტის პერსონალსა და სხვა სტუდენტებს შორის. აღნიშნული ღონისძიების მიზანია გამოუცდელმა სტუდენტებმა მიიღონ ის რეკომენდაციები რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას საუნივერსიტეტო და ყოველდღიურ ცხოვრებაში.


სტრატეგიული მიზანი	სტრატეგიული ამოცანა	წარმატების ინდიკატორი
მიზანი 3: უცხოელი სტუდენტების ჩართულობა	ამოცანა 1: უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა	უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა წინა მიღებასთან მიმართებით
	ამოცანა 2: უცხოელი სტუდენტების წარმომადგენლობითი როლის გაზრდა	უცხოელი სტუდენტების რაოდენობა სტუდენტურ თვითმმართველობასა და სხვა შესაბამის ორგანოში  უცხოელი სტუდენტების კმაყოფილების ხარისხის სტუდენტი-მრჩეველთან მიმართებაში

### კვლევის ინტერნაციონალიზაცია

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი 2019-2026 წწ. პერიოდში კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მისაღწევად გეგმავს მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას.
- აუცილებლობას წარმოადგენს აკადემიური პერსონალის მიერ საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების და საერთაშორისო სემინარებზე/კონფერენციებზე წარდგენილ მომხსენებელთა რაოდენობის ზრდა, რაც საკმაოდ ცნობადს გახდის საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სახელს საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროებში.
- უცხოელი პარტნიორების ჩართულობით იგეგმება უნივერსიტეტში მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ დამუშავებული კვლევითი პროგრამების განხორციელება, რომელთა წარმატების შემთხვევაში მიღებული შედეგი შესაძლებლობას მისცემს მწარმოებელ კომპანიებს გაზარდონ სამოქალაქო საკაერო ხომალდების ეკონომიკური ეფექტიანობა.

	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	12/14
		ცვლილება	0

სტრატეგიული მიზანი	სტრატეგიული ამოცანა	წარმატების ინდიკატორი
მიზანი 4: კვლევის ინტერნაციონალიზაცია	ამოცანა 1: სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში უცხოელი აკადემიური პერსონალის ჩართულობა	<p>კვლევით საქმიანობაში ჩართული უცხოელი აკადემიური პერსონალის პროცენტული თანაფარდობა მთლიან აკადემიურ პერსონალთან</p> <p>უცხოელი აკადემიური პერსონალის კმაყოფილების ხარისხი კვლევით გარემოსთან მიმართებაში</p> <p>თანაფარდობა ქართველ და უცხოელ თანა-ხელმძღვანელებს შორის - 1/5</p>
	ამოცანა 2: საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება	<p>1. საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების რაოდენობა</p> <p>2. სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული მკვლევრების რაოდენობა</p>
	ამოცანა 3: სამეცნიერო პუბლიკაციების/სტატიების და კვლევების რაოდენობის ზრდა საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში	სამეცნიერო სტატიების/პუბლიკაციების და კვლევების გამოქვეყნება - საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში (რა ინტენსივობით?)
	ამოცანა 4: სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობა	სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის მოხსენებები

	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	თარიღი	იანვარი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	13/14
		ცვლილება	0

## მუხლი 2. უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმი მიზნობრივი ქვეყნები

1. სამოქალაქო ავიაციასთან დაკავშირებულ ინგლისურენოვან პროგრამებზე სწავლის მსურველთა გეოგრაფიული არეალი ძალზე ფართოა, გამომდინარე იქიდან რომ ავიაცია არის მუდმივად მზარდი სფერო და საჭიროებს სულ უფრო და უფრო მეტ კვალიფიციურ კადრს. სსუ-ს პროგრამებზე სტუდენტის სწავლების სურვილის ფორმირებისათვის ასევე აუცილებელია ქვეყანაში ცხოვრების მიმზიდველობა, რაც განპირობებულია ქვეყნის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით.
2. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სსუ-სთვის მარკეტინგული კამპანიების წარმართვისათვის საინტერესო ქვეყნებია: ეგვიპტე, ნიგერია, ირანი, ერაყი, ინდოეთი, ბანგლადეში, ჩინეთი სადაც სამოქალაქო ავიაციის სფეროში განათლების მიღება შეუძლებელია შესაბამისი სასწავლო დაწესებულების არ არსებობის ან სასწავლო დაწესებულებების შეზღუდული რაოდენობის ადგილების გამოცხადების გამო, სტუდენტთა გარკვეული სეგმენტისათვის კი უზრალოდ უცხოეთში მიღებული განათლებაა სასურველი.
3. ამასთან ერთად მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის დაკვეთით მომზადებული დოკუმენტით 1, „მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი-უცხოელი სტუდენტები საქართველოში“ (მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი -ICMPD, 2017), რომლის თანახმად საქართველოში უცხოელ სტუდენტთა 90% სწორედ ამ ქვეყნებიდანაა.

## დეტალური ინფორმაციის სიზუსტე და ხელმისაწვდომობა


1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობის, სასწავლო გეგმის, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, დასაქმების პერსპექტივების და საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული და პოტენციური სტუდენტისათვის საინტერესო სხვა სახის ინფორმაცია მიღება შესაძლებელი იქნება ვებგვერდის ან/და საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერთან ელექტრონული მიმოწერის საშუალებით.

## უცხოელი სტუდენტისთვის სტუდენტის სტატუსის მინიჭება

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით.

## სსუ-ს პოპულარიზაცია და მოზიდვა ინტერნეტის, სოციალური ქსელებისა და ბეჭდური მასალების გამოყენებით

1. სსუ-ს ინგლისურენოვანი ვებ-გვერდის გაუმჯობესება და მისი შევსება პოტენციური სტუდენტისათვის საინტერესო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი ინფორმაციითა და ფოტო-ვიდეო მასალით;
2. სტუდენტური ცხოვრების ამსახველი მასალებისა და ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება;
3. საქართველოში სწავლისა და ცხოვრების შესახებ ინფორმაციისა და ფოტომასალის ვებგვერდზე განთავსება;

	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა	თარიღი	მაისი 2019
		თავი	4
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	14/14
		ცვლილება	0

- სწავლის დროს საქართველოში ცხოვრებისას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაციის განთავსება.
- ინგლისურენოვანი ბეჭდური მასალის შექმნა რომელშიც ასახული იქნება:
- ინგლისურენოვანი პროგრამების სტრუქტურა და ძირითადი კურსები, მიღების წესი, დიპლომის აღიარების წესი, კარიერული პერსპექტივები, საფასური, სტუდენტურის ცხოვრება და სხვა;
- სსუ-ს კამპუსების ძირითადი ელემენტები;
- საქართველოს ღირშესანიშნაობანი რომელთა დათვალიერებაც სტუდენტს შეეძლება სსუ-ში სწავლის პერიოდის განმავლობაში;
- საქართველოში სასწავლებლად ჩამოსული სტუდენტისათვის აუცილებელი ინფორმაცია (ტრანსპორტის, საცხოვრებლის, საკვების და ა.შ. ფასები);
- იმ სერვისების ჩამონათვალი რომელთაც სსუ გაუწევს სტუდენტებს.

### მოზიდვა აგენტების მეშვეობით

- თანამშრომლობის განვითარება საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის აგენტებთან/სააგენტოებთან;
- მოზიდვა არსებული ინსტიტუციური კავშირების, პარტნიორების ქსელის მეშვეობით;
- ტურისტულ ოპერატორებთან თანამშრომლობის ახალი მიმართულების განვითარება „საგანმანათლებლო ტურიზმის“ სახით და მათთვის სსუ-ს პრომო-მასალის მიწოდება;

### ახალი პოზიციების შექმნა ფაკულტეტებზე ინტერნაციონალიზაციის მიზნებისათვის.

- ფაკულტეტზე ინგლისური ენის მცოდნე სპეციალისტის არსებობა. უცხოელი სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული საკითხებში დახმარების ფუნქციით.
- მოხალისეობრივი ფორმის სტუდენტი მრჩეველის პოზიციის შემოღება, რომლის ფუნქცია უცხოელი სტუდენტების სასწავლო და ცხოვრებისეულ საკითხებში დახმარება იქნება.

### გამოყენებული წყაროები:

- 1მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი უცხოელი სტუდენტები საქართველოში.  
[http://migration.commission.ge/files/migraciis\\_profil\\_i\\_a5\\_geo.pdf](http://migration.commission.ge/files/migraciis_profil_i_a5_geo.pdf)